სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-02/83

ქ. თბილისი 15 მაისი 2025წ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური წლის სემესტრში სასწავლო კვირების (სააუდიტორიო მეცადინეობების) რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 15 მაისის სხდომის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური წლის თითოეულ სემესტრში სასწავლო კვირების (სააუდიტორიო მეცადინეობების) რაოდენობა განისაზღვროს 13 კვირით.

2. დაევალოთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, არა უგვიანეს 2025 წლის 10 ივლისისა, უზრუნველყონ სემესტრულად სტუდენტის სასწავლო დატვირთვის 13 კვირაზე განაწილების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში შესაბამისი ცვლილებების მომზადება და დასამტკიცებლად წარმოდგენა.

3. უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტების ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

4. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის (vici.gtu.ge) ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**